

საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება

განმცხადებელი, სერტიფიკატის მისაღებად, სააგენტოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს დადგენილ ფორმას. განცხადებას ხელს აწერს განმცხადებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი. ამ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა ვრცელდება აგრეთვე საწარმოს მიერ სააგენტოში წარდგენილ განცხადებაზე სერტიფიკატის განახლებასთან, დუბლიკატის გაცემასთან, აგრეთვე, სერტიფიკატში და/ან მის დანართში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) საწარმოს წესდების ნოტარიურად დამოწმებული ასლი;

ბ) საწარმოს და სადგურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტრუქტურული სქემა. იმ შემთხვევაში, თუ საავიაციო ტექნიკის ტმ-ს ახორციელებს საწარმოს სტრუქტურული ერთეული (შემდგომში – სტრუქტურული ერთეული), მაშინ საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული, ამ სტრუქტურული ერთეულის სტრუქტურული სქემაც და დებულებაც;

გ) საწარმოს მიერ განხორციელებადი საავიაციო ტექნიკის ტმ-ის სახეობები და დასაშვებ სამუშაოთა ნუსხა

დ) საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელი პერსონალის მონაცემები

ე) ტმ-ის განმახორციელებელი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის, აგრეთვე ამ პერსონალით საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) დაკომპლექტების მონაცემები, რაც უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 19 სექტემბრის №116 ბრძანებისა და „ტექნიკური რეგლამენტის „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 19 აგვისტოს №97 ბრძანების მოთხოვნებს;

ვ) საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) საწარმოო ბაზის საერთო მონაცემები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 19 სექტემბრის №116 ბრძანებისა და ICAO-ს ოფიციალური დოკუმენტის – DOC 9760/AN967 („საფრენად ვარგისობის სახელმძღვანელო“) მოთხოვნებს;

ზ) ტმ-ის განსახორციელებლად გამოსაყენებელი ნორმატიული აქტების და სახელმძღვანელო დოკუმენტების ჩამონათვალი;

თ) საავიაციო ტექნიკის დამამზადებლის და/ან შემმუშავებლის მიერ გამოცემული ტმ-ის რეგლამენტების (პროგრამების) ნუსხა, საავიაციო ტექნიკის ტიპების მიხედვით;

ი) საბუთი, რომელშიც ასახული უნდა იყოს საავიაციო ტექნიკის ტმ-ის ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვის უზრუნველყოფა;

კ) საავიაციო ტექნიკის ტმ-სთვის გამოყენებული ტექნიკური მომსახურების საშუალებების ჩამონათვალი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 19 სექტემბრის №116 ბრძანების მოთხოვნებს;

ლ) საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ICAO-ს ოფიციალური დოკუმენტის – DOC 9760/AN967 („საფრენად ვარგისობის სახელმძღვანელო“) და „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 19 სექტემბრის №116 ბრძანების მოთხოვნებს;

- მ) საბუთი, რომელშიც ასახული უნდა იყოს ტექნიკური მომსახურების ჩატარების შესახებ ინფორმაციის მონაცემების ჩაწერის, შენახვის, სიზუსტის, სისრულის, აგრეთვე, ინფორმაციის შენახვის ვადების დაცვის უზრუნველყოფის სისტემა;
- ნ) საწარმოს ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო

მომსახურების საფასური

საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება:

ა) ტექნიკური მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემა:

ა.ა) ზემსუბუქი და მსუბუქი (5700 კგ-მდე) სხ-ების მომსახურებისათვის – 1250 ლარი;

ა.ბ) 5701 კგ-ზე მეტი სხ-ების მომსახურებისათვის – 5000 ლარი;

ა.გ) ამ პუნქტის „ა.ა.“ და „ა.ბ.“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სხ-ების მომსახურებისათვის – 6250 ლარი;

ა.დ) დამატებითი საფასურის განაკვეთები საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის დანართში შეტანილ მომსახურების სახეობებზე (სხ-ის მაქსიმალური ასაფრენი მასის და მისი კომპონენტების მიხედვით):

კატეგორია 'A' -- საჰაერო ხომალდებისთვის:

ზემსუბუქი სხ-ებისათვის 750 კგ-მდე - ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 125 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 250 ლარი/ტიპი;

მსუბუქი სხ-ებისათვის (751 კგ-5700 კგ – მდე) – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 250 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 500 ლარი/ტიპი;

5701 კგ – 15000 კგ სხ-ებისთვის – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 500 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 1000 ლარი/ტიპი;

15001კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 1000 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 2000 ლარი/ტიპი;

90000კგ-ზე მძიმე მეტი სხ-ებისთვის – ოპერატიული ტექნიკური მომსახურება 2000 ლარი/ტიპი, პერიოდული ტექნიკური მომსახურება 3000 ლარი/ტიპი;

კატეგორია 'B' -- ავიამრავები – 250 ლარი თითოეულ ტიპზე;

კატეგორია 'C' -- სხ-ის სხვა კომპონენტები – 250 ლარი თითოეულ სისტემაზე;

კატეგორია 'D' -- ტექნიკური კონტროლის მეთოდები - 150 ლარი თითოეულ მეთოდზე.

საკონტაქტო ინფორმაცია: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 0158, თბილისი, აეროპორტი

საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი

ტელ: (+995 32) 2 94 80 10; ფაქსი: (+995 32) 2 94 80 02 / E-mail: air@gcaa.ge ვებგვერდი:

www.gcaa.ge